თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №3585055

ნომერი: AR1542032

თარიღი : 19.09.2017

გაცემის თარიღი : 10.10.2017

გაცნობის თარიღი : 10.10.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ქეთევან წამებული , (ნაკვ. 42/006) / ქალაქი თბილისი , ბოჭორმის ქუჩა N14ა-ს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იაკობ ბერიძე პ/ნ 01011005022
- თბილისი,აწყურის ქ.4ბ,ბინა 70

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

## ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 08 მაისის №3221582 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 19 სექტემბრის #AR1542032 განცხადებით მომართა იაკობ ბერიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017 წლის 08 მაისის №3221582 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ძალადაკარგულად გამოცხადება.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2017 წლის 08 მაისს ქალაქი თბილისი, გამზირი ქეთევან წამებული, (ნაკვ. 42/006)/ქალაქი თბილისი, ბოჭორმის ქუჩა N14ა-ს მიმდებარედ, საკ. კოდი: N01.17.13.042.017 მიწის ნაკვეთზე, დამტკიცდა №3221582 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: #882017258459, მომზადების თარიღი: 03/04/2017 12:32:58) თანახმად, ქალაქი თბილისი, გამზირი ქეთევან წამებული, (ნაკვ. 42/006)/ქალაქი თბილისი, ბოჭორმის ქუჩა N14ა-ს მიმდებარედ, საკ. კოდი: N01.17.13.042.017 მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა შპს „GLOBAL DEFENSE GROUP“. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხ. რეგისტრაცია - B17043133, მომზადების თარიღი: 13/04/2017 10:06:12), შპს „GLOBAL DEFENSE GROUP“-ის დირექტორია იაკობ ბერიძე.
განმცხადებლის განმარტებით, აღარ არსებობს ზემოაღნიშნული აქტის შესაბამისად მშენებლობის განხორციელების ინტერესი და შესაბამისად, ითხოვს 2017 წლის 08 მაისის №3221582 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ძალადაკარგულად გამოცხადებას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ამდენად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი და სამსახურში დაცული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დააკმაყოფილოს იაკობ ბერიძის მოთხოვნა და ძალადაკარგულად გამოაცხადოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს მოქალაქე იაკობ ბერიძის 2017 წლის 19 სექტემბრის #AR1542032 განაცხადი.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 08 მაისის №3221582 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.